ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1411535

ნომერი: AR1239749

თარიღი : 24.07.2014

გაცემის თარიღი : 29.07.2014

გაცნობის თარიღი : 31.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის III მ/რ , II კვ. N40 სკოლისა და N11 კორპ. მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო რამიშვილი პ/ნ 01017012025
- თბილისი, ბახტრიონის ქ.#8

ორგანიზაცია:

- სს ფანდ ინვესთმენთ კოდი: 404418117

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკადასტრო გეგმაზე ნაჩვენები #2/1 სადემონტაჟო შენობა/ნაგებობა სცდება I კლასის მახასიათებლებს. I კლასის მახასიათებლებია: 60 კვმ-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ–მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირზე საშუალოდ 2მ–მდე ჩაღრმავების მქონე შენობა (თქვენს შემთხვევაში #2/1 სადემონტაჟო შენობა/ნაგებობის მოშენების ფართი საკადასტრო მონაცემებით დაახლოებით შეადგენს 72 კვ.მ-ს, ამდენად სადემონტაჟო შენობა სცდება ზემოაღნიშნულ პარამეტრს), შესაბამისად საჭიროა დემონტაჟის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით "ელექტრონულ განაცხადებში" უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მშენებლობის ნებართვა" - "საცხოვრებელი ობიექტები"; ქმედებებში-დემონტაჟი" და ა. შ. და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად.

რაც შეეხება #1/1 შენობა/ნაგებობის დემონტაჟს, შესაძლებელია განხილულ იქნას პირველ კლასად, რისთვისაც საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ მხოლოდ #1/1 შენობა/ნაგებობის დემონტაჟზე და დოკუმენტაციები წარმოადგინოთ მხოლოდ #1/1 შენობა/ნაგებობაზე, კერძოდ:

1. შეიცვალოს მოთხოვნის ტექსტი;
2. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს ველში ატვირთეთ სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული, მხოლოდ #1/1 შენობის არსებული სიტუაციის ფოტომასალა და მიუთითეთ ყველა გაბარიტული ზომა (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე);
3. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა/ნაგებობების მესაკუთრეა სს "ფანდ ინვესთმენთი", რომლის ხელმძღვალელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის მიხეილ ჩოგოვაძე, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ ნინო რამიშვილმა. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს მესაკუთრის სს "ფანდ ინვესთმენთი"-ს დირექტორის მიხეილ ჩოგოვაძის მინდობილობა გაცემული თქვენს სახელზე ან შესაძლებელია მიხეილ ჩოგოვაძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.